ქალაქ თბილისის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირი

თბილისის არქიტექტურის სამსახური

გადაწყვეტილება №2862972

ნომერი: AR1444354

თარიღი : 27.09.2016

გაცემის თარიღი : 04.10.2016

გაცნობის თარიღი : 04.10.2016

შედეგი : თანხმობა.

ობიექტის მისამართი :

ქალაქი თბილისი , ქუჩა ფასანაური , N 15 ;

დამკვეთი-განმცხადებელი
- ირინა კერესელიძე პ/ნ 01013000605
- თბილისი გრ.როზაქიძის გამზ. N 7 ბ. 35

ორგანიზაცია:
- არგო კონსტრაქშენი კოდი: 204565005

ნომენკლატურა :

- მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი
- IV კლასი
- ვადაგაუსვლელი
- მშენებლობის ნებართვა

.სატიტულო ინფორმაცია.:

- .ფუნქციური დანიშნულების სახეობა.: საცხოვრებელი სახლი
- .მთავარი არქიტექტორის/სპეციალისტი სახელი და გვარი.: გია ჭანჭალეიშვილი
- .ორგანიზაცია (არსებობის შემთხვევაში).: შპს „სტუდია 4“
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 205178546

.დამკვეთის ინფორმაცია.:

- .ორგანიზაცია (არესბობის შემთხვევაში).: შ.პ.ს. "არგო კონსტრაქშენი"
- .საიდენტიფიკაციო კოდი.: 204565005
- .დამკვეთ(ებ)ის სახელი და გვარი.: შპს „არგო კონსტრაქშენი“
- .დამკვეთ(ებ)ის პირადი ნომერი.: 01013000605

.მშენებლობის ნებართვის რეკვიზიტები.:

- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების ნომერი. : 2039249
- .მშენებლობის ნებართვის ბრძანების თარიღი. : 30.07.2015

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 ივლისის №2039249 ბრძანებაში სამუშაოების დასრულების თარიღში ცვლილების შეტანის შესახებ

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის მიერ 2015 წლის 30 ივლისს №2039249 ბრძანებით შეთანხმდა ქ. თბილისში (სექტორი – მთაწმინდა), ფასანაურის ქ. N15–ში, შ.პ.ს. "არგო კონსტრაქშენი"–ს საკუთრების მიწის ნაკვეთზე საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტი და გაიცა მშენებლობის ნებართვა, რომელიც ძალაში იყო 2016 წლის 31 თებერვლის ჩათვლით.

მოქ. ი. კერესელიძის 2016 წლის 13 იანვრის №AR1370555 განაცხადის საფუძველზე სამსახურის 22.01.2016წ. №2386401 ბრძანებით მშენებლობის ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნითშევიდაცვლილება 2015 წლის 30 ივლისის№2039249 ბრძანებაში და მშენებლობის დასრულების თარიღი განისაზღვრა 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით.

2016 წლის 27 სექტემბერს N AR1444354 განცხადებით მოგვმართა მოქ. ი. კერესელიძემ, რომელიც ითხოვს უძრავ ძეგლზე სამუშაოების ნებართვის ვადის გაგრძელების მიზნით 2015 წლის 30 ივლისის №2039249 ბრძანებაში სამუშაოების დასრულების თარიღში ცვლილებების განხორციელებას.

სამსახურმა განცხადების განხილვის შედეგად გადაწყვიტა, რომ მოთხოვნა საფუძვლიანია და უნდა დაკმაყოფილდეს.

"საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის" მე-5, 51-ე, 52-ე, 63-ე, 96-ე, მე-100 მუხლების, VI თავის, "კულტურული მემკვიდრეობის შესახებ" საქართველოს კანონის, "მშენებლობის ნებართვის გაცემის წესისა და სანებართვო პირობების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2009 წლის 24 მარტის #57 დადგენილების, "ქალაქ თბილისის ტერიტორიის გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის საკრებულოს 2009 წლის 27 მარტის #4-13 გადაწყვეტილების თანახმად

გადაწყვეტილება

1. შევიდეს ცვლილება ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 ივლისის №2039249 ბრძანებაში, კერძოდ, "ნებართვა ძალაშია 2016 წლის 31 ოქტომბრის ჩათვლით" შეიცვალოს ,,ნებართვა ძალაშია 2016 წლის 1 მაისის ჩათვლით“;
2. წინამდებარე ბრძანება განხილულ იქნეს ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ თბილისის მუნიციპალიტეტის არქიტექტურის სამსახურის 2015 წლის 30 ივლისის №2039249 ბრძანებასთან ერთად.

- აღნიშნულის შესახებ დადგენილი წესით ეცნობოს დაინტერესებულ მხარეებს და ქ. თბილისის მერიის ზედამხედველობის საქალაქო სამსახურს.

- გადაწყვეტილება შეიძლება გასაჩივრდეს ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერთან (მის: ქ. თბილისი, ჟ. შარტავას ქუჩა N7), საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით, მისი ოფიციალური გაცნობიდან ერთი თვის ვადაში.

• დამატებით გაცნობებთ, რომ გაურკვევლობის შემთხვევაში ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ დარეკოთ მერიის ცხელ ხაზზე - 2722222, ასევე შეგიძლიათ მობრძანდეთ შარტავას ქ. #7, მერიის შენობა, პირველი სართული, სივრცე#4.